ბრძოლა საპრიზო ადგილისთვის

მოსკოვი. ”ტორპედოს” სტადიონი. 15 ოქტომბერი.

”ტორპედო” (მოსკოვი) – ”დინამო” (თბილისი) 2:2 (1:2).

”ტორპედო”: ჩანოვი, კრუგლოვი, ჟუპიკოვი (გოსტენინი), პეტრენკო, შავეიკო, პრიგოდა, პეტრაკოვი, რადენკო, სოლოვიოვი (ვასილიევი), სუსლოპაროვი, პოლუკაროვი.

”დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (თავაძე), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

მატჩს დაესწრო 6.000 მაყურებელი.

დუბლიორები - 3:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ცავამ და ჩელებაძემ.

მოსკოვის ”ტორპედოსა”: და თბილისის ”დინამოს” შეხვედრები მუდამ საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს, ფეხბურთის მოყვარულები ყოველთვის ყურადღებით ადევნებენ თვალს ღირსეულ მეტოქეთა ბრძოლას, მათს ახლანდელ მატჩსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან არსებითად ახლა წყდება საპრიზო ადგილზე გასვლის საკითხი. ტორპედოელებს ფრეთა ლიმიტი ამოწურული აქვთ, ამიტომ გამარჯვების გარდა მათთვის ყველა სხვა შედეგი არაფრის მომტანია, დინამოელებს კი მარაგში კიდევ ერთი ფრე ჰქონდათ, რომლის შემდეგაც ისინიც სწურავდნენ ფრეთა ლიმიტს.

თამაში პირველივე წუთებიდან დაძაბულად მიმდინარეობდა, თუმცა დინამოელებმა დასაწყისში არ მიმართეს მაღალ ტემპს. მიმდინარეობდა მე-4 წუთი, როცა ტორპედოელებმა სწრაფად შეუტიეს და პეტრენკომ ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი სტუმრების კარში - 1:0, რის შემდეგაც ”დინამომ” მკვეთრად მოუმატა ტემპს, ნახევარმცველებმა და მცველებმა თამაში მოპირდაპირე მხარეს გადაიტანეს, სადაც ტორპედოელთა დაცვას სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა ბრძოლა მეტოქის ფორვარდებთან. მეტად აქტიური იყო მარჯვენა ფლანგზე გუცაევი, რომელიც სისტემატურად არღვევდა ტორპედოელთა დაცვის რიგებს, ხოლო შეტევის საბოლოო ეტაპზე ჩანოვის პირისპირ გადიოდა შენგელია, რომლის ამ სახიფათო მანევრების საწინააღმდეგოდ მეტოქის დაცვამ ვერაფერი კონტრზომა ვერ მოძებნა. მე-13 წუთზე ”ტორპედოს” საჯარიმო მოედანზე შეიჭრა სვანაძე, გადააწოდა კაკილაშვილს, ამ უკანასკნელის უძლიერესი დარტყმა ძლივს მოიგერია ჩანოვმა, მაგრამ შენგელია ყველაზე ადრე გაერკვა შექმნილ სიტუაციაში - 1:1.

დინამოელებმა კიდევ უფრო მოუმატეს თამაშის ტემპს, მოსკოველები სულ უფრო ხშირად იხევდნენ უკან და 38-ე წუთზე გუცაევის ზუსტი გადაცემის შემდეგ შენგელიამ თავით მეორე ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში - 2:1. ეს იყო თბილისელთა ამ ორი

ფორვარდის შეწყობილი თამაშის საუკეთესო ნიმუში, გატანილი გოლებით კი შენგელია გაუთანაბრდა მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს - სპარტაკელ გავრილოვს.

შესვენების შემდეგ ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა კვლავ თბილისელთა მხარეს იყო, დასანანია მხოლოდ ის, რომ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს "ტორპედოს" კართან შექმნილი რამდენიმე საგოლე მომენტი.

59-ე წუთზე ტორპედოელებს მიეცათ საჯარიმო დარტყმის უფლება, წამით ღიად დარჩა სოლოვიოვი, რომელმაც მიიღო გადაცემა და კარგად გამოიყენა ეს შანსი - 2:2.

თბილისის "დინამომ" ქულა ჩაიწერა ამ მატჩში. მართალია, ჩვენს გუნდს ფრეთა ლიმიტი ამოწურული აქვს, მაგრამ კვლავინდებურად ინარჩუნებს საპრიზო ადგილზე გასვლის რეალურ შანსს.

ბ. ქორიძე.

"ლელო", 17 ოქტომბერი 1981 წ.